საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 1 21 0000616037

22/06/2021

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი

მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2020 წლის 28 დეკემბრის №1235134 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №1238636, 29/12/2020), წარმოდგენილ იქნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი ,,პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე

2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 18 იანვრის № 11215 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 29 მაისის №315477 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა 2021 წლის 07, 08 და 12 აპრილს, ხოლო 2021 წლის 02 ივნისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		•		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		•		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		•		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		•		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		•		

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 08 ივნისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ პირველი და მე - 3 სტანდარტები, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტადარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ამოიღო/გადაიტანა რჩევებში, ასევე რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 11 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგნილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 ივნისის №612591 სხდომის ოქმის №-03 ნა წილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

4.1. მოდერნიზდეს #6 სწავლის შედეგი კვალიფიკაციების ჩარჩოში წარმოდგენილი მოთხოვნების უზრუნველყოფით, მათ შორის შემდეგი ჩანაწერის გათვალიწსინებით: „კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება“;

4.2. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის;

4.3. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;

4.4. კვლევითი უნარების განვითარებისა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის რეკომენდებულია დარგობრივი კვლევის მეთოდებისა და სამეცნიერო წერის ტექნიკების საკითხების მომცველი სასწავლო კურსების შემუშავება;

4.5. გაიზარდოს დარგობრივი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა;

4.6. გაძლიერდეს სამაგისტრო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები ლაბორატორიული სამუშაოებისა და რეალურ გარემოში საწარმოო პრაქტიკის მხრივ;

4.7. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსებით განსაზღვრული პრაქტიკული პროექტები და პრაქტიკა დაეფუძნოს რეალურ სასწავლო გარემოს კვლევას და შესრულდეს არა მარტო ინჟინერიის მიმართულების საწარმოებში, არამედ სხვადასხვა დაწესებულებებშიც. სასწავლო კურსისათვის „უსაფრთხოების ტექნიკა“ დაწვრილებით გაიწეროს პრაქტიკის კომპონენტი;

4.8. გადამუშავდეს სასწავლო კურსი „საწარმოო გარემოს ჰიგიენური უსაფრთხოება“ პრაქტიკული პროექტის თემატიკებში სტუდენტის მზაობის გათვალისწინებით;

4.9. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში „შრომითი რესურსების მენეჯმენტი“ დაზუსტდეს წინაპირობა, კურსის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის საფეხურთან;

4.10. გაიზარდოს სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებელი სამუშაოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, მათ შორის სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში და კვლევებში ჩართულობა;

4.11. რეკომენდირებულია სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან;

4.12.სასწავლო კურსების შუალედური შეფასებისათვის ზღვრული ქულები განისაზღვროს იმ კომპონენტების აუცილებლობაზე ორიენტირებით, რომელიც საკვანძოა სასწავლო კურსის გარკვეული სწავლის შედეგის შეფასებისათვის;

4.13.მოდერნიზდეს სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების კომპონენტები და მეთოდები, ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა კურსის სპეციფიკასთან და სწავლის შედეგებთან. მაგალითად, ასეთი კურსებია: „შრომითი რესურსების მენეჯმენტი“, „საწარმოო გარემოს ჰიგიენური უსაფრთხოება“, „საწარმოო ტრავმატიზმი და პროფესიული დაავადებები“, „ტექნოლოგიური პროცესების ხანძარუსაფრთხოება“, „ტექნოლოგიური პროცესების აფეთქებაუსაფრთხოება“;

4.14.სასწავლო კურსებში გამჭვირვალედ განისაზღვროს შეფასების კომპონენტების, მეთოდების და დავალებების წარდგენის მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტისათვის საჭირო და აუცილებელი ინფორმაციის დროულ მიწოდებას. მაგალითად, ასეთი სასწავლო კურსებია: „ტექნოგენური საგანგებო სიტუაციები“, „შენობების აღდგენითი სამუშაოების უსაფრთხოება“, „ელექტროდანადგარების უსაფრთხო ექსპლოატაცია“, „საწარმოო გარემოს სანიტარული უსაფრთხოება“, „საწარმოო გარემოს ჰიგიენური უსაფრთხოება“;

4.15.გატარდეს კომპლექსური ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს მაგისტრანტების კონსულტირებას ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების, კვლევის პროცესში საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენების, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესებში;

4.16.ფაკულტეტის სამოქმედო გეგმაში აისახოს კონკრეტული ამოცანები პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეტაპობრივი გაუმჯობესებისათვის, რაც შემდგომში რეალიზდება და შეფასება PDCA-ციკლის გამოყენებით;
4.17.მოხდეს ფინანსების გამოყოფა ფაკულტეტის სამოქმედო გეგმით დასახული იმ ამოცანების მიხედვით, რომელიც მიმართულია პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციების გაუმჯობესებისაკენ;
4.18. გაუმჯობესდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გეგმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემუშავებული მეთოდოლოგიისა და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით;
4.19.გაუმჯობესდეს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, პერსონალის გამოკითხვის კითხვარები. საჭიროა კითხვარები ისე იყოს შედგენილი, რომ იძლეოდეს რესპოდენტის რეალურ განწყობისა და მოსაზრებების დაფიქსირების საშუალებას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ადექვატური, რელევანტური და ვალიდური კვლევა და ანალიზის შედეგები. ასევე წარმოდგენილ კვლევებში აუცილებელია მიეთითოს კვლევის ჩამტარებელი სამსახური და პირები, კვლევის ჩატარების დრო და პერიოდი;

რჩევები:

1. შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მრავალმხრივად გამოიყენებს სტუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერ მექანიზმებს;
2. პროგრამაში ჩაერთოს ისეთი სასწავლო კურები, რომელიც შეასრულებს ზრდასრულთა სწავლების მეთოდების ან/და TOT (Training Of Trainers) საბაზისო კურსის როლს;
3. სასურველია, პროგრამის სტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება დაეყრდნოს ანალოგი პროგრამების გამოცდილების გაზიარებასა და საფუძვლიან ანალიზს
4. შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც წარმოდგენილი იქნება ამ კვლევითი კომპონენტის დარგობრივი სწავლის შედეგები და სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია. სამაგისტრო ნაშრომების ხარისხიანად შესრულების მიზნით, მნიშვნელოვანია სტუდენტები სწავლობდნენ აკადემიური წერის ტექნიკებსა და ციტირების წესებს და ეს მოთხოვნები რეალიზებულ იქნას სამაგისტრო ნაშრომში
5. სასწავლო კურსების ძირითად ლიტერატურად დამატებით განისაზღვროს ეროვნულ დონეზე არსებული ქართულენოვანი ლიტერატურა, ანგარიშები, კვლევები, შეფასებები და საკანონმდებლო აქტები, მათი გამოყენება გააუმჯობესებს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსში „შრომისა და საგანგებო სიტუაციების საკანონმდებლო ბაზა“ საჭიროა ძირითადი ლიტერატურის განახლება, რადგან 2011 წელს გამოცემული სახელმძღვანელო ვერ უზრუნველყოფს მოქმედი საკანონმდებლო ბაზის აღწერას
6. პრაქტიკულ კომპონენტებში მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული სხვადასხვა სექტორებში სტუდენტების მივლინება, სტუდენტთა როტაციის პრინციპით.
7. პროგრამის შემდგომი მოდერნიზებისა და განვითარების პროცესში, რეკომენდებულია დაინერგოს თანამედროვე სწავლება-სწავლის მეთოდები, მათ შორის დიდი ყურადღება გამახვილდეს შემთხვევის ანალიზისა და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე, ვიდეო-რგოლებისა და სხვა თანამედროვე თვალსაჩინოებების გამოყენებით, რაც შესაბამისობაში იქნება კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და შეფასების მიდგომებთან;
8. სასურველია საერთაშორისო მობილობაში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის გაზრდა, რათა სტუდენტებისთვის აღნიშნული შესაძლებლობებით სარგებლობა მეტად რეალური გახდეს.

9. დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო კურსების შესაბამისი პერსონალის ჩართვა პროგრამაში, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები ასევე ითვალისწინებს პროგრამის მოდერნიზებას და სხვადასხვა კურსების დამატებას;
10. პროგრამის განხორციელებაში ჩაერთოს ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ დარგის შესაბამის ცოდნას და აქვთ მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;
11. განხორციელდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის სხვადასხვა ღონისძიებები (მათ შორის ტრენინგები, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრები) კურსის სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისობის, საერთაშორისო ბაზებში პერსონალის ინტეგრირების, კვლევით პროექტებში ჩართვისა და პუბლიკაციების გამოქვეყნების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით;
12. შემუშავდეს მწყობრი გეგმა გასაუმჯობესებელი მხარის „უცხოელი პროფესორების ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში (მათ შორის უკუკავშირის, რჩევების მიღების თვალსაზრისით)“ აქტივობებისათვის, რომელშიც გამოყენებული იქნება სტუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერი მექანიზმები და რომლის შესრულება შეფასდება PDCAციკლის გამოყენებით;
13. დაიგეგმოს და განხორციელდეს პერსონალის ინგლისური ენის შემსწავლელი მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც მხარდაჭერილი იქნება ფაკულტეტის სამოქმედო გეგმით;
14. პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართული პირებისათვის უზრუნველყავით ანალიზის თანამედროვე მიდგომების გაზიარება, რაც გააუმჯობესებს თითოეული სტანდარტის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირების პროცესს;
15. სასურველია პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგებში გამოყენებული სიტყვა „პროპაგანდა“, რომელიც ტერმინოლოგიურად განიმარტება, როგორც „პროპაგანდა (ლათ. propaganda, გავრცელების ქვემდებარე) — ფაქტების, არგუმენტებისა და სხვა ცნობათა სისტემატიური გავრცელება. ემსახურება საზოგადო აზრის ჩამოყალიბებას“, ჩანაცვლდეს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში გამოყენებული საერთაშორისო ტერმინებით: ინსტრუქტაჟი, სწავლება, ტრენინგი და ა.შ.
16. საურველია დაწესებულებამ, მოცემული პროგრამის ფარგლებში დანერგოს სხვადასხვა სფეროს ე.წ. „გესთსპიკერების“ მიწვევა, როგორც წარმოებისა და ბიზნესის, ასევე საჯარო სამსახურების მხრიდან, რომელიც განხორციელდება გარკვეული პერიოდულობით;
17. სასურველია პერიოდულად მოეწყოს სამომავლოდ უცხოელი პროფესორებისა და დარგის სპეციალისტების ვიზიტები, რათა ლექციებისა და შეხვედრების მეშვეობით გააცნონ სტუდენტებს დარგის სიახლეები;
18. რჩევაა, რომ პროგრამის განვითარებისათვის დაწესებულებამ გამოიყენოს კომპლექსური მიდგომები, რისთვისაც საუკეთესო გადაწყვეტილებები გადის უნივერსიტეტის კვლევითი ინფრასტრუქტურის (კვლევითი ინსტიტუტების) და სხვა ფაკულტეტების შესაძლებლობების კლასტერულ ჭრილში გამოყენებაზე.

5. რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი (2022 წლის 08 ივნისამდე)

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საიტზე გამოქვეყების დღეს - **2021 წლის 08 ივნისს.**

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ